სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

13 ნოემბერი 2023 წელი

N 46/36

ეგზ. N1

დმანისის მუნიციპალიტეტის
2021-2022 წლების საქმიანობის
შესაბამისობის აუდიტის
ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	**ტერმინები და შემოკლებები**	**2**
	შემაჯამებელი მიმოხილვა	**3**
	რეკომენდაციები	**5**
	1. შესავალი	7
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	**7**
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	**7**
	აუდიტის საგანი	**7**
	აუდიტის მასშტაბი	**7**
	აუდიტის კრიტერიუმები	**7**
	აუდიტის მიზანი	**9**
	აუდიტის მეთოდოლოგია	**9**
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	**9**
	2. აუდიტის მიგნებები	10
დანართები	**დანართები**	**28**
	საკონტაქტო ინფორმაცია	**35**

ტერმინები და შემოკლებები

- ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- **მერია** – დმანისის მუნიციპალიტეტის მერია.
- **მუნიციპალიტეტი** – დმანისის მუნიციპალიტეტი.
- **საკრებულო** – დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
- **შპს** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
- **მგფ** – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა დმანისის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ბიუჯეტის შესრულება

ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტმა 2021-2022 წლებში ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება და დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი).[1] აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

შესყიდვების მართვა

ხელშეკრულების ადმინისტრირების ხარვეზები

ხელშეკრულებების ადმინისტრირების პროცესში მუნიციპალიტეტის კონტროლის მექანიზმები არასათანადოა. ხელშეკრულებების შეწყვეტის შემდეგ მიღებული ზიანის საკომპენსაციოდ, თვითმმართველმა ერთეულმა ვერ მიიღო სულ 57.7 ათასი ლარის საგარანტიო და საჯარიმო თანხები. ამასთანავე, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტები დაუსრულებელია. მუნიციპალიტეტმა არაეფექტიანად დახარჯა 2,004.6 ათასი ლარი და დროულად ვერ მიაღწია პროექტების განხორციელებით დაგეგმილ შედეგს.

მიუღებელი ჯარიმები

ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის საჯარიმო სანქციების ადმინისტრირებას მუნიციპალიტეტი ახორციელებდა სისტემური ხარვეზებით. პროცესი გაუმართავია როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ჯარიმების ამოღების, ასევე შემსყიდველი სუბიექტის შემდგომი რეაგირების კუთხითაც. აღნიშნული ნაკლოვანების გამო მუნიციპალიტეტმა დროულად ვერ მიიღო 2,325.2 ათასი ლარის საჯარიმო თანხა.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

უხარისხო საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა

მუნიციპალიტეტის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდებაზე დანერგილი კონტროლის პროცედურები ზოგიერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას შეძენილი დოკუმენტაციის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. მნიშვნელოვანი ხარვეზებით ჩაბარებული პროდუქტი გავლენას ახდენდა მიწოდების ვადებზე. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს რაიმე სახის ღონისძიება უხარისხო საპროექტო დოკუმენტაციის მიმწოდებლების მიმართ არ გაუტარებია.

გამოუყენებელი ობიექტები/აქტივები

მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების მხრივ მიმდინარეობდა ხარვეზებით. მერიამ ვერ უზრუნველყო პროექტების ოპტიმალური დაგეგმვა, არაეფექტიანად დახარჯა თანხები და პროექტების განხორციელებით დასახულ მიზანს დროულად ვერ მიაღწია.

მუნიციპალური სერვისების მიწოდება

წყალმომარაგებით უზრუნველყოფის ღონისძიებების ხარვეზები

მუნიციპალიტეტში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემები: წყლის სისტემებს ემსახურება არალიცენზირებული პირი; მოსახლეობის ნაწილს სასმელი წყალი არ მიეწოდება ან მიეწოდება შეფერხებით; მიწოდებული წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება.

[1] 2021 წელს - 3,290.5 ათასი ლარი; 2022 წელს - 3,054.5 ათასი ლარი.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	**ავტოპარკის მართვის ხარვეზები** მუნიციპალიტეტის მიდგომა სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ არარაციონალურია; მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნორმატიული აქტი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე; საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს. შედეგად, საწვავი გამოყენებულია დაწესებული ლიმიტის დარღვევით. ასევე კონკრეტული მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ, რაც წარმოშობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს. **შრომითი ხელშეკრულებებით დაქირავებული პირები** მუნიციპალიტეტის მიერ დაქირავებული შრომის გამოყენების პრინციპი არ შეესაბამება საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებას. **მივლინების ხარჯების შეუსაბამობა** მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემები არ მოიცავს სამივლინებო ხარჯების ეფექტიანობის შეფასებას. 2021-2022 წლებში საჯარო მოხელეების მივლინებისთვის 12.7 ათასი ლარი დახარჯულია ისე, რომ მუნიციპალური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით მივლინების შედეგების პრაქტიკაში გამოყენება დოკუმენტურად არ დასტურდება.
ქონების მართვა და განკარგვა	**ქონების მართვის ხარვეზები** მუნიციპალიტეტმა სათანადოდ ვერ უზრუნველყო იჯარიდან მისაღები შემოსავლის სრულად და დროულად მობილიზება ადგილობრივ ბიუჯეტში. ამასთანავე, ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის პროცესში არ არის გამოყენებული ელექტრონული აუქციონისა და გაფორმებულ ხელშეკრულებებში საიჯარო ფასის გადახედვის შესაძლებლობა. შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტი კარგავს დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას.
ორგანიზაციული და პერსონალის მართვა	**დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ხარვეზები** მუნიციპალიტეტს არ გააჩნია დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა სრულყოფილი ბაზა და ამასთანავე, ვერ უზრუნველყოფს მოსაკრებლის სათანადო ადმინისტრირებას. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ მიიღო დასუფთავების მოსაკრებელი, რაც უარყოფითად აისახა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე. **საბიუჯეტო პროცესის ხარვეზები** 2021-2022 წლების საბიუჯეტო პროცესი მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა ხარვეზებით და არ შეესაბამებოდა საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვნებს. **ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია** მუნიციპალიტეტში კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. შედეგად არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია №1: მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკა და ბიუჯეტის განწერისას დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

რეკომენდაცია №2: მერიამ შეიმუშაოს სტრატეგია ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ადმინისტრირების შესახებ. დოკუმენტით დეტალურად უნდა განისაზღვროს ჯარიმების გაანგარიშების, დარიცხვისა და ბიუჯეტში მობილიზების თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები, შემსრულებლები და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ხელშეკრულების პირობების დარღვევის პრევენციას და გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს. ამასთანავე, მერიამ გაატაროს ღონისძიებები ხელშეკრულებების შეწყვეტის შედეგად კუთვნილი თანხების მისაღებად.

რეკომენდაცია №3: მერიამ შეიმუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების წესი და განსაზღვროს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი პროდუქტის შემენას; აღნიშნული უზრუნველყოფს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და რეალური ვადების განსაზღვრას და გაუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას.

რეკომენდაცია №4: მერიამ შეიმუშაოს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სტრატეგია/წესი, რომლის ფარგლებში სამუშაოებს დაგეგმავს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას ან/და გამოყენებას; მათ შორის, შეისწავლოს პროექტის პრიორიტეტულობა, შესასრულებლად საჭირო რესურსი და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია მისი განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულად განხორციელებას და მოსახლეობისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებას.

რეკომენდაცია №5: მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავს და განახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს, გონივრულ ვადაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის, წყალმომარაგების უზრუნველყოფას შესაბამისი ლიცენზიანტი სუბიექტის მეშვეობით და როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

რეკომენდაცია №6: მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით განსაზღვროს კონტროლის მექანიზმები და შეიმუშაოს წესი, რითაც დარეგულირდება სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობა. საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია მერიამ დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმ(ებ)ი და შეიმუშაოს სათანადო პროცედურები. სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე შესაძლოა განხილულ იქნეს სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა.

რეკომენდაცია №7: მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს ქონების მართვის სტრატეგია და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქონების განკარგვისა და ხელშეკრულებების ადმინისტრირების გაუმჯობესებას. ამასთანავე, მერიამ იმსჯელოს ქონების განაკარგვის პროცესში აუქციონის ფორმის გამოყენებისა და გაფორმებულ ხელშეკრულებებში სარგებლობის საფასურის საბაზრო ფასებთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური ქონების მართვის პროცესის გაუმჯობესებასა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას.

რეკომენდაცია №8: მერიამ საკრებულოსთან ერთად იმსჯელოს გადამხდელთა ბაზის ფორმირებისა და დასუფთავების მოსაკრებლის დაგეგმილი მაჩვენებლის მობილიზების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე, მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით, მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია №9: მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას, მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან, ინვენტარიზაციის შედეგების დადგენას და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენას. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	დმანისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.
აუდიტორის პასუხისმგებლობა	აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტის ანგარიში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.
აუდიტის საგანი	დმანისის მუნიციპალიტეტის საქმიანობა.
აუდიტის მასშტაბი	აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2022 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. გარდამავალი ხელშეკრულებებიდან და წინა აუდიტით გამოვლენილ რისკის შემცველ საკითხებთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა სხვა პერიოდის დოკუმენტაციაც.
აუდიტის კრიტერიუმები	აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:[2]

[2] 2021-2022 წლებში მოქმედი რედაქციით.

- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ”;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №364 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“;
- დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 დეკემბრის №24 დადგენილება „2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
- დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის №42 დადგენილება „2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზი;
- დოკუმენტური შემოწმება;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
- ადგილზე დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 16 ადმინისტრაციულ ერთეულს,[3] მათ შორის, 1 ქალაქსა და 57 სოფელს. თვითმმართველი ერთეულის ფართობია 1,198.8 კმ², მოსახლეობის რიცხოვნობა კი შეადგენს 21.6 ათას კაცს.[4] ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი დმანისი.

2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები დახარჯულია შემდეგ პროგრამებზე: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები – 6,894.5 ათასი ლარი; თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 189.3 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია – 26,511.0 ათასი ლარი; საგანმანათლებლო ღონისძიებები – 2,452.2 ათასი ლარი; სპორტული და კულტურული ღონისძიებები – 2,153.8 ათასი ლარი; სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები – 2,326.9 ათასი ლარი.

[3] ინფორმაციის წყარო: mreg.reestri.gov.ge

[4] ინფორმაციის წყარო: www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge (2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით).

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ბიუჯეტის შესრულება

2.1.1 ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის მომზადების, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.[5] მუნიციპალიტეტმა 2021-2022 წლებში პროგრამული ბიუჯეტებით დაგეგმა ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა, მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება და სხვ.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.[6]

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2021-2022 წლების შემოსულობებმა – 41,794.4 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 40,583.2 ათასი ლარი შეადგინა. ბიუჯეტის გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში:

ცხრილი. მუნიციპალიტეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 2021-2022 წლებში (ათასი ლარი)

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრულების %	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრულების %	სულ ფაქტი
შემოსულობები	**18,070.1**	**18,732.3**	**104%**	**23,382.6**	**23,062.1**	**99%**	**41,794.4**
შემოსავლები	18,070.1	18,682.6	103%	22,932.6	22,609.0	99%	41,291.6
არაფინანსური აქტივების კლება	-	49.7	-	450.0	453.1	101%	502.8
ფინანსური აქტივების კლება	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
გადასახდელები	**23,032.1**	**15,710.9**	**68%**	**31,197.2**	**24,872.3**	**80%**	**40,583.2**
ხარჯები	7,422.5	6,752.7	91%	14,001.5	12,641.2	90%	19,393.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	15,540.0	8,902.6	57%	17,140.1	12,175.5	71%	21,078.1
ვალდებულებების კლება	55.6	55.6	100%	55.6	55.6	100%	111.2
ნაშთის ცვლილება	**-4,962.0**	**3,021.4**		**-7,814.6**	**-1,810.2**		

ორივე საბიუჯეტო წლისთვის მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ შეასრულა ბიუჯეტის „გადასახდელების“ მუხლი. კერძოდ, მერიამ წლის ბოლომდე ძირითადად ვერ აითვისა ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები.[7] შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამებით გათვალისწინებული შედეგები: ძირითადად ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, წყლის სისტემებისა და რეზერვუარების, ბაღებისა და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები.

[5] საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.
[6] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.
[7] დაგვიანდა შესყიდვის პროცესი, გაიზარდა სამუშაოების მიწოდების ვადა, სამუშაოები არ დასრულდა ხელშეკრულებების შეწყვეტის გამო და სხვ.

საბიუჯეტო პარამეტრების არასათანადო დაგეგმვისა და შესრულების გამო, მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს. კერძოდ, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ბალანსზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 5,049.8 ათასი ლარი. 2021 წლისთვის მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 4,962.0 ათასი ლარის ათვისება, თუმცა დააგროვა 3,021.4 ათასი ლარი. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 8,071.2 ათასი ლარის ნაშთი, საიდანაც 3,290.5 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია. 2022 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 7,814.6 ათასი ლარის ხარჯვა, თუმცა აითვისა 1,810.2 ათასი ლარი. საბოლოოდ, წლის ბოლოსათვის საბიუჯეტო ნაშთმა 6,261.0 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც 3,054.5 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა 2021-2022 წლებში ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება და დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი). აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

რეკომენდაცია №1

მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკა და ბიუჯეტის განწერისას დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

2.2 შესყიდვების მართვა

2.2.1 ხელშეკრულების ადმინისტრირების ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ორგანოები უფლებამოსილებათა ფარგლებში ახორციელებენ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას, მოვლა-პატრონობას, რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციასა და განვითარებას.[8] მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.[9]

მოქმედი კანონმდებლობით,[10] გარანტიის მოთხოვნა გამოიყენება წინასწარი (საავანსო) ანგარიშსწორებისთვის, ასევე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ შეასრულებს ხელშეკრულების პირობებს, მუნიციპალიტეტი ვალდებულია მოითხოვოს საგარანტიო თანხის ანაზღაურება.

მუნიციპალიტეტი ხელშეკრულების გაფორმებისას, როგორც წესი, ადგენს საჯარიმო სანქციებს პირობების არაჯეროვნი შესრულებისთვის.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტი, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იყენებდა ხელშეკრულების შეწყვეტის მექანიზმს. 2021-2022 წლებში შეწყვეტილია სულ 28 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით – 5,936.6 ათასი ლარი. პროცესის შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი ხარვეზები:

- 7 შეწყვეტილი ხელშეკრულება ითვალისწინებდა სულ 24 ობიექტის მშენებლობას, ღირებულებით 3,317.8 ათასი ლარი. ხელშეკრულებების შეწყვეტისას, მათ შორის, დასრულებული იყო 2 ობიექტი – ღირებულებით 29.6 ათასი ლარი, ხოლო 22 ობიექტზე სამუშაოები შესრულდა ნაწილობრივ, 2,156.7 ათასი ლარის ოდენობით. შეუსრულებელი სამუშაოების

[8] „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 19.
[9] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.
[10] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 21, პუნქტი 2; მუხლი 21[1], პუნქტი 1.

ღირებულებამ შეადგინა 1,128.9 ათასი ლარი.[11] პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, 22 ობიექტიდან 2023 წელს დასრულდა 4 ობიექტის მშენებლობა,[12] 8 ობიექტზე სამუშაოები მიმდინარეა და ახორციელებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი[13] და მუნიციპალური განვითარების ფონდი.[14] დანარჩენ 10 ობიექტზე, რომლებზეც დახარჯულია 2,004.6 ათასი ლარი, დარჩენილი 498.1 ათასი ლარის სამუშაოების გასაგრძელებლად მუნიციპალიტეტს სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია და ინფრასტრუქტურული ობიექტები დაუსრულებელია (იხ. დანართი №1).

- 2020 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სოფელ მაშავერას წყალმომარაგებისათვის ჭაბურღილის მშენებლობის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით – 413.0 ათასი ლარი.[15] სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2021 წლის 17 მარტს. მიმწოდებელმა (შპს „კაპიტელ“) სამუშაოები ვერ დაასრულა და 2021 წლის 3 დეკემბერს შეუწყდა ხელშეკრულება. მუნიციპალიტეტმა სადაზღვევო კომპანიას რამდენჯერმე მიმართა 163.2 ათასი ლარის საავანსო გარანტიის მოთხოვნით.[16] მიუხედავად იმისა, რომ გაცემული იყო უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, სადაზღვევო კომპანიამ[17] თანხა არ აანაზღაურა.[18] კომპანიას 163.2 ათასი ლარის ჩარიცხვაზე მუნიციპალიტეტმა ბოლოს მიმართა 2023 წლის 31 მარტს – წინა მიმართვიდან 7 თვის შემდეგ. მას შემდეგ, რაც საკითხით დაინტერესდა აუდიტის ჯგუფი, სადაზღვევო კომპანიამ 2023 წლის 6 ივნისს მუნიციპალიტეტს ჩაურიცხა 145.4 ათასი ლარი.[19] მუნიციპალიტეტს შემდგომი ღონისძიებები კუთვნილი 17.8 ათასი ლარის[20] მისაღებად არ განუხორციელებია.

  მიმწოდებელმა 413.0 ათასი ლარიდან შეასრულა მხოლოდ 43.3 ათასი ლარის სამუშაო (ჭაბურღილიდან რეზერვუარამდე მაგისტრალური ხაზის მოწყობა). აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ბოლოს მგფ-მა შეისყიდა წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია ქ. დმანისისა და 19 სოფლისთვის, მათ შორის სოფელ მაშავერასთვის.[21] მგფ-ის პროექტი არ ითვალისწინებს შპს „კაპიტელის“ მიერ მოწყობილი მაგისტრალური მილის გამოყენებას. ამრიგად, მუნიციპალური განვითარების ფონდთან არასაკმარისი კომუნიკაციისა და არასათანადოდ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული

---

[11] დასრულებულ ორ ობიექტზე აღარ გახდა საჭირო 2.6 ათასი ლარის სამუშაოების შესრულება.

[12] CMR230097653; CMR230095398; CMR230097653; NAT220012196 - შპს „გია კონსტრაქშენთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში (NAT200009588) გათვალისწინებული გზის მოასფალტება შეიცვალა და აღნიშნული შესყიდვით მუნიციპალიტეტმა განახორციელა გზის მოხრეშვა;

[13] NAT220024810.

[14] DEP200000096.

[15] NAT200011351.

[16] გაცემული საავანსო თანხა - 206.5 ათასი ლარი, შესრულებული სამუშაოების ღირებულება - 43.3 ათასი ლარი; 163226 ლარი = 206516 ლარი - 43290 ლარი; ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია - 10,3 ათასი ლარი, ჩარიცხულია 2022 წლის 18 ივლისს.

[17] სს „არდი დაზღვევა“.

[18] მიმწოდებელი არ დაეთანხმა საზედამხედველო კომპანიის (შპს „ოპტიმალ გრუპ+“) მიერ დათვლილ შესრულებული სამუშაოების ღირებულებას და წარმოადგინა ალტერნატიული ექსპერტიზის (სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) დასკვნა 17.8 ათასი ლარით მეტ ღირებულებაზე. მუნიციპალიტეტს სადაზღვევო კომპანიის მიმართ სამართლებრივი ღონისძიებები თანხის გადაუხდელობასთან დაკავშირებით არ გაუტარებია.

[19] ასევე: აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდეგ, 2023 წლის 12 ივლისს სს „არდი დაზღვევამ“ მუნიციპალიტეტს ჩაურიცხა NAT200006552 შესყიდვის ფარგლებში დარჩენილი დასაბრუნებელი ავანსის თანხა – 5.0 ათასი ლარის ოდენობით.

[20] სხვაობა მუნიციპალიტეტის მიერ დაქირავებულ საზედამხედველო კომპანიასა და მიმწოდებლის მიერ ჩატარებულ ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნებით წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების ღირებულებებს შორის.

[21] DEP200000096.

პროექტის გამო, მუნიციპალიტეტმა ამ ეტაპისთვის გასწია 43.3 ათასი ლარის არაეფექტური ხარჯი.[22]

- მუნიციპალიტეტმა შეწყვიტა ხელშეკრულება სოფელ გოდაგდაგში რიტუალების სახლის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე.[23] მერიამ საგარანტიო პერიოდში დროულად არ მიმართა სადაზღვევო კომპანიას და დაკარგა გარანტორისგან 31.1 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა;[24]
- მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ქ. დმანისში სპორტული მოედნისა და საზოგადოებრივი დანიშნულების რეტერატის მოწყობისა და სოფელ ტნუსში მდინარე მაშავერაზე ხიდის მოწყობის სამუშაოები.[25] ხელშეკრულებების შეწყვეტის შემდეგ მერიამ არ ისარგებლა ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებებით და მიმწოდებლებს სამუშაოების არაჯეროვანი შესრულებისთვის არ დაარიცხა პირგასამტეხლო, ჯამში – 8.8 ათასი ლარის ოდენობით.[26]

დასკვნა

ხელშეკრულებების ადმინისტრირების პროცესში მუნიციპალიტეტის კონტროლის მექანიზმები არასათანადოა. ხელშეკრულებების შეწყვეტის შემდეგ მიღებული ზიანის საკომპენსაციოდ, თვითმმართველმა ერთეულმა ვერ მიიღო სულ 57.7 ათასი ლარის საგარანტიო და საჯარიმო თანხები.[27] ამასთანავე, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტები დაუსრულებელია. მუნიციპალიტეტმა არაეფექტიანად დახარჯა 2,004.6 ათასი ლარი და დროულად ვერ მიაღწია პროექტების განხორციელებით დაგეგმილ შედეგს.

2.2.2 მიუღებელი ჯარიმები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.[28]

გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების მიხედვით, მუნიციპალიტეტი იყენებდა საჯარიმო სანქციებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის, მათ შორის, სამუშაოების მიწოდების კალენდარული და თანხობრივი გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის. პირგასამტეხლოს გადახდა, ისევე როგორც ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება, მხარეებისათვის სავალდებულოა.

ფაქტობრივი გარემოება: ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით 2021-2022 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები ზოგ შემთხვევაში დარღვეულია. მუნიციპალიტეტის საქმიანობა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების ადმინისტრირების მხრივ გამოირჩევა მნიშვნელოვანი ხარვეზებით. კერძოდ:

- მერია სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების დოკუმენტს ადგენდა და სრულ ანგარიშსწორებას ახორციელებდა ისე, რომ მიმწოდებლებს საჯარიმო თანხები გადახდილი არ ჰქონდათ. ხელშეკრულებების შესრულების დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ მიმწოდებლების ნაწილმა საჯარიმო თანხა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ არ გადაიხადა.

[22] პასუხისმგებელი პირის განმარტებით, შპს „კაპიტელის“ მიერ მოწყობილ მაგისტრალურ მილს მუნიციპალიტეტი გამოიყენებს სამომავლოდ.
[23] NAT200005547.
[24] ავანსის გარანტია - 16.2 ათასი ლარი; ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია - 14.9 ათასი ლარი.
[25] NAT200002798, NAT200008607.
[26] NAT200002798 - 7.7 ათასი ლარი; NAT200008607 - 1.1 ათასი ლარი.
[27] 57.7 ათასი ლარი = 17.8 ათასი ლარი + 31.1 ათასი ლარი + 8.8 ათასი ლარი.
[28] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი.

კერძოდ, 2021 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებებზე 27 მიმწოდებელს დაერიცხა სულ 296.8 ათასი ლარის ჯარიმა, საიდანაც თანხა – 111.8 ათასი ლარი გადაიხადა 22-მა სუბიექტმა; 2022 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებებზე 30.5 ათასი ლარით დაჯარიმდა 22 მიმწოდებელი. თანხა – 23.1 ათასი ლარი გადაიხადა 13-მა სუბიექტმა;

- გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების მიხედვით, მუნიციპალიტეტს უფლება ჰქონდა დადგენილ ვადაში გადაუხდელი პირგასამტეხლოს თანხა მიმწოდებლისათვის დაეკავებინა შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან და გაექვითა ურთიერთმოთხოვნები. მიუხედავად იმისა, რომ მიმწოდებლები, როგორც წესი, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ ჯარიმებს არ იხდიდნენ, მერიამ თანხის წინასწარი დაკავების მეთოდი არ გამოიყენა და 10 ხელშეკრულების შემთხვევაში მიმწოდებლებს არ დაუკავა გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის დარიცხული 23.7 ათასი ლარი;[29]
- საჯარიმო თანხების მისაღებად მუნიციპალიტეტი იყენებდა მხოლოდ წერილობით მიმართვას, რაც ვერ უზრუნველყოფდა სათანადო შედეგს.[30] კერძოდ, 2021-2022 წლებში დარიცხული 327.3 ათასი ლარიდან მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო 192.4 ათასი ლარი.[31] წინა წლების ხელშეკრულებების გათვალისწინებით, მიმწოდებლებზე სხვადასხვა დარღვევისთვის დარიცხულმა და მიუღებელმა ჯარიმებმა სულ 2,325.2 ათასი ლარი შეადგინა;[32]
- ჯარიმის გადაუხდელობის, ანუ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტს უნდა მიემართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის არაკეთილსინდისიერი მიმწოდებლების შავ სიაში დასარეგისტრირებლად.[33] მერიას აღნიშნული ვალდებულება არ შეუსრულებია.

დასკვნა

ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის საჯარიმო სანქციების ადმინისტრირებას მუნიციპალიტეტი ახორციელებდა სისტემური ხარვეზებით. პროცესი გაუმართავია როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ჯარიმების ამოღების, ასევე შემსყიდველი სუბიექტის შემდგომი რეაგირების კუთხითაც. აღნიშნული ნაკლოვანების გამო მუნიციპალიტეტმა დროულად ვერ მიიღო 2,325.2 ათასი ლარის საჯარიმო თანხა.

რეკომენდაცია №2

მერიამ შეიმუშაოს სტრატეგია ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ადმინისტრირების შესახებ. დოკუმენტით

---

[29] NAT210002903 - 0.4 ათასი ლარი, CMR210107622 - 0.025 ათასი ლარი, CMR210089182 - 2.5 ათასი ლარი, CMR210090757 - 5.0 ათასი ლარი, CMR210090773 - 3.8 ათასი ლარი, CMR210090776 - 5.2 ათასი ლარი, CMR210076296 - 0.5 ათასი ლარი, NAT220012862 - 2.5 ათასი ლარი, CMR210090754 - 2.8 ათასი ლარი, CMR210076286 - 1.0 ათასი ლარი. დანარჩენი ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა თანხის წინასწარ დაკავებას ან/და ჯარიმა დარიცხულია ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე.

[30] მუნიციპალიტეტმა სასამართლოს მიმართა წინა პერიოდში (2017 წლიდან 2021 წლამდე) გაფორმებული ხელშეკრულებების შემთხვევაში.

[31] 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით: NAT210002903 - 0.4 ათასი ლარი, NAT200018222 - 21.2 ათასი ლარი, CMR210064785 - 0.4 ათასი ლარი, NAT210004527 - 41.6 ათასი ლარი, CMR210107622 - 0.025 ათასი ლარი, CMR210089182 - 2.5 ათასი ლარი, CMR210090757 - 5.0 ათასი ლარი, CMR210090773 - 3.8 ათასი ლარი, CMR210090776 - 5.2 ათასი ლარი, NAT210006673 - 1.1 ათასი ლარი, CMR210076296 - 0.5 ათასი ლარი, CMR210154952 - 0.048 ათასი ლარი, NAT210016763 - 26.7 ათასი ლარი, NAT210017537 - 26.5 ათასი ლარი, NAT210016640 - 10.5 ათასი ლარი, NAT210001410 - 39.4 ათასი ლარი, CMR210090754 - 2.8 ათასი ლარი, CMR210076286 - 1.0 ათასი ლარი, NAT220005610 - 0.05 ათასი ლარი, NAT220002805 - 0.8 ათასი ლარი, NAT220002798 - 0.9 ათასი ლარი, NAT210025324 - 0.3 ათასი ლარი, CMR220040520 - 0.04 ათასი ლარი, NAT220001876 - 0.3 ათასი ლარი, CMR220085122 - 0.1 ათასი ლარი, NAT220002806 - 1.0 ათასი ლარი, NAT220021013 - 0.2 ათასი ლარი.

[32] 2017- 2022 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებები.

[33] მერია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არაკეთილსინდისიერი მიმწოდებლების შავ სიაში დასარეგისტრირებლად მიმართავდა მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში.

დეტალურად უნდა განისაზღვროს ჯარიმების გაანგარიშების, დარიცხვისა და ბიუჯეტში მობილიზების თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები, შემსრულებლები და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ხელშეკრულების პირობების დარღვევის პრევენციას და გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს. ამასთანავე, მერიამ გაატაროს ღონისძიებები ხელშეკრულებების შეწყვეტის შედეგად კუთვნილი თანხების მისაღებად.

2.3 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

2.3.1 უხარისხო საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლების მიერ სატენდერო მოთხოვნებისა და ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.[34] მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, მათ შორის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე, ითვალისწინებს ხარისხიანი პროდუქტის მიწოდებას, ხოლო ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.[35]

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2022 წლებში მუნიციპალიტეტმა 42 ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა 522.1 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.[36]

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული პროექტებით შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობა. გამოვლინდა, რომ შესყიდული დოკუმენტაციის ნაწილი შეიცავდა ხარვეზებს. შედეგად, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას ხელშეკრულებებში ცვლილებები შედიოდა სისტემატურად. კერძოდ, 2021-2022 წლებში გაფორმებულ 194 ხელშეკრულებაში შეტანილია 461 ცვლილება, აქედან, 63 ხელშეკრულება შეცვლილია 2-ჯერ და მეტჯერ.

პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში არსებული ხარვეზების გამო, იცვლებოდა სამუშაოების მოცულობები ან/და ემატებოდა ახალი სამუშაოები. აღნიშნული ხშირ შემთხვევაში იწვევდა როგორც სახელშეკრულებო თანხების ცვლილებას, ასევე სამუშაოების დასრულების ვადების გაზრდას. კერძოდ, 30 ხელშეკრულების ღირებულება, ჯამში – 609.8 ათასი ლარით, ხოლო 89 ხელშეკრულებაში მიწოდების ვადები 10-დან 182 დღემდე გაიზარდა. მაგალითად:

- 2021 წელს მერიამ შეისყიდა №3 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით – 786.8 ათასი ლარი.[37] სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში ხელშეკრულებაში ცვლილება შევიდა 13-ჯერ. კორექტირებების საფუძველია სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარვეზები.[38] შედეგად, სამუშაოების ღირებულება გაიზარდა 60.6 ათასი ლარით და ობიექტის დასრულება 182 დღით გადავადდა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდებაზე დანერგილი კონტროლის პროცედურები, ზოგიერთ შემთხვევაში,

[34] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7.
[35] NAT210002188, NAT210025324, NAT220005464, NAT220002804 და სხვ.
[36] მათ შორის: 2020 წელს გაფორმებულია 13 ხელშეკრულება, თანხით - 167.6 ათასი ლარი; 2021 წელს გაფორმებულია 16 ხელშეკრულება, თანხით - 218.9 ათასი ლარი და 2022 წელს - 13 ხელშეკრულება, თანხით - 135.6 ათასი ლარი.
[37] NAT210009647. თავდაპირველი ღირებულება - 726.2 ათასი ლარი.
[38] საჭირო გახდა ახალი სამუშაოების დამატება: კერძოდ, ტიხრებისათვის საძირკვლის მოწყობა - ბეტონით, სახურავის გადახურვა - პროფილირებული თუნუქით და სხვ.

ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას შეძენილი დოკუმენტაციის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. მნიშვნელოვანი ხარვეზებით ჩაბარებული პროდუქტი გავლენას ახდენდა მიწოდების ვადებზე. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს რაიმე სახის ღონისძიება უხარისხო საპროექტო დოკუმენტაციის მიმწოდებლების მიმართ არ გაუტარებია.

რეკომენდაცია №3

მერიამ შეიმუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების წესი და განსაზღვროს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი პროდუქტის შეძენას; აღნიშნული უზრუნველყოფს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და რეალური ვადების განსაზღვრას და გააუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას.

2.3.2 გამოუყენებელი ობიექტები/აქტივები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა.[39]

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.[40]

ფაქტობრივი გარემოება: 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას ამზადებდა და ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებდა შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. აუდიტის ჯგუფმა მოწყობილი ობიექტები დაათვალიერა მერიის წარმომადგენლებთან ერთად. გამოვლინდა, რომ ზოგიერთი ობიექტი უფუნქციოა და მოსახლეობა ვერ იყენებს, მაგალითად:

- 2020 წელს სოფელ დაგარახლოს სკოლაში მოეწყო სველი წერტილები, ღირებულებით – 48.8 ათასი ლარი.[41] ობიექტის დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ საჭირო იყო დამატებითი სამუშაოების განხორციელება, კერძოდ, შენობაში არ ფუნქციონირებდა წყლის სისტემა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, პროექტის მიხედვით მოწყობილია წყლის რეზერვუარი და ძრავი, მაგრამ პროექტი არ ითვალისწინებდა ელექტრომოწყობილობის სამუშაოებს წყლის ამოსატუმბად. მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სოფელ დაგარახლოში ხორციელდება სასმელი წყლის ახალი სისტემისა და რეზერვუარის მოწყობა,[42] საიდანაც სკოლის წყალმომარაგება განხორციელდება სატუმბი მოწყობილობის გარეშე;
- 2022 წელს სოფელ ველისპირში მოეწყო წისქვილის შენობა, ღირებულებით – 19.8 ათასი ლარი.[43] ობიექტი დათვალიერების მომენტში არ ფუნქციონირებდა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, საჭირო იყო დამატებითი სამუშაოების განხორციელება, კერძოდ, შენობის გამრიცხველიანება. მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის 1 ოქტომბრის

[39] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 9, პუნქტი 1; პუნქტი 6, „ა“ ქვეპუნქტი.
[40] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.
[41] NAT200008504
[42] NAT220016456.
[43] CMR220125347.

მდგომარეობით წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული პრობლემა აღმოიფხვრა და წისქვილი ფუნქციონირებს;

- 2022 წელს სოფელ ბახჩალარში მოეწყო ფარდულის შენობა, ღირებულებით – 16.2 ათასი ლარი.[44] შენობა დაუსრულებელია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სამუშაოები გაგრძელდა 2023 წელს[45] და დასრულდება 2024 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში;
- აუდიტის მიმდინარეობისას გამოუყენებელი იყო 2020-2022 წლებში შესყიდული 151.8 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც ითვალისწინებდა 23 ობიექტის მშენებლობა-რეაბილიტაციას. კერძოდ, არ შესრულებულა წყალსადენის, სარიტუალო დარბაზებისა და სტადიონის რეაბილიტაცია, ასევე სპორტული კომპლექსისა და საცურაო აუზის მშენებლობა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების მხრივ მიმდინარეობდა ხარვეზებით. მერიამ ვერ უზრუნველყო პროექტების ოპტიმალური დაგეგმვა, არაეფექტიანად დახარჯა თანხები და პროექტების განხორციელებით დასახულ მიზანს დროულად ვერ მიაღწია.

რეკომენდაცია №4

მერიამ შეიმუშაოს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სტრატეგია/წესი, რომლის ფარგლებში სამუშაოებს დაგეგმავს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას ან/და გამოყენებას; მათ შორის, შეისწავლოს პროექტის პრიორიტეტულობა, შესასრულებლად საჭირო რესურსი და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია მისი განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულად განხორციელებას და მოსახლეობისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებას.

2.4 მუნიციპალური სერვისების მიწოდება

2.4.1 წყალმომარაგებით უზრუნველყოფის ღონისძიებების ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია: წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიანტი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებით.[46] კანონმდებლობის მიხედვით,[47] სასმელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო, უვნებელი და აკმაყოფილებდეს ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებს. სასმელი წყლის მიმწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია აწარმოოს წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მაჩვენებლებთან შესაბამისობის კონტროლი და მონიტორინგი.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის 58 დასახლებული პუნქტიდან, ქ. დმანისსა და 12 სოფელში მოსახლეობისთვის წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია", დანარჩენ 45 სოფელში წყლის სისტემების მომსახურება დებულებით ევალება ა(ა)იპ – დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალურ სამსახურს, რომელსაც არ აქვს საქმიანობის შესაბამისი ლიცენზია. ამ მიზნით მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისათვის.

[44] CMR220101560.
[45] CMR230117880.
[46] „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", მუხლი 16, პუნქტი 2, „თ" ქვეპუნქტი; მუხლი 163, პუნქტი 1.
[47] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ".

მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის სისტემების განვითარება პრიორიტეტულადაა მიჩნეული. 2021-2022 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე დაიგეგმა 4.037.5 ათასი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება,[48] ფაქტობრივად კი გაწეულია 2,600.2 ათასი ლარის ხარჯი (64%).[49] მიუხედავად ამისა, წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის მიზნით შესრულებული სამუშაოები არასაკმარისია და ვერ აკმაყოფილებს სასმელ წყალზე მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ყოველდღიურ მოთხოვნას. კერძოდ, 45 სოფელში მცხოვრები 3279 ოჯახიდან, 1307 ოჯახს წყალი მიეწოდება მუდმივად, 717 ოჯახს – გრაფიკით, ხოლო 1255 ოჯახი სარგებლობს საუბნო წყაროებით. წყლის სისტემები არ არის აღჭურვილი გამწმენდი და წყლის დაქლორვის საშუალებებით.

პასუხისმგებელი პირების განმარტებით, სოფლის მოსახლეობისთვის მიწოდებული წყლის ხარისხი შესაბამისი ლაბორატორიული კვლევებით არ შემოწმებულა. 2021-2022 წლებში შემოწმდა მხოლოდ საბავშვო ბაღების წყლის ხარისხი და ნაწილში გამოვლინდა ნორმიდან გადახრის ფაქტები.[50]

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემები: წყლის სისტემებს ემსახურება არალიცენზირებული პირი; მოსახლეობის ნაწილს სასმელი წყალი არ მიეწოდება ან მიეწოდება შეფერხებით; მიწოდებული წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება.

რეკომენდაცია №5

მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავს და განახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს, გონივრულ ვადაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის, წყალმომარაგების უზრუნველყოფას შესაბამისი ლიცენზიანტი სუბიექტის მეშვეობით და როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

2.5 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

2.5.1 ავტოპარკის მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტებისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად რეკომენდებული სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობა განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეთხოვათ მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე მიიღონ ნორმატიული აქტი, დადგენილებით განსაზღვრული წესისა და პრინციპების შესაბამისად.[51] მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირის გრძანებების საფუძველზე,[52] სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობა 2021-2022 წლებში შეადგენდა 4 ერთეულს. მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების შესაბამისად დაწესებულია საწვავის ხარჯვის ყოველთვიური ლიმიტი.

[48] მათ შორის, 2021 წელს - 2,966.5 ათასი ლარი, 2022 წელს - 1.070.9ათასი ლარი.

[49] მათ შორის, 2021 წელს - 1,833.4 ათასი ლარი; 2022 წელს - 766.8 ათასი ლარი. საბიუჯეტო რესურსების აუთვისებლობა გამოიწვია ხელშეკრულებების შეწყვეტამ და მიწოდების ვადების ცვლილებამ.

[50] 2021 წელს შემოწმებული 5 საბავშვო ბაღიდან, 3-ში გამოვლინდა ნორმიდან გადახრა.

[51] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ", მუხლი 2, პუნქტი 2; მუხლი 5.

[52] დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 29 ივლისის №183 ბრძანება.

ფაქტობრივი გარემოება: საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტი „ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის შესახებ“ თვითმმართველობებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი შესრულება. მუნიციპალიტეტს აღნიშნულ საკითხზე ნორმატიული აქტი არ მიუღია – სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობა რეგულირდებოდა გამგებლის ბრძანების საფუძველზე.

2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტი 4 სამორიგეოს გარდა ასევე სარგებლობდა საჯარო მოხელეების სარგებლობაში არსებული 35 ერთეული ავტომანქანით. 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტმა გახარჯა 315.4 ათასი ლარის ღირებულების 92.8 ტონა საწვავი. საწვავის ჩასხმა ხორციელდებოდა ტალონებისა და ნომრიანი/უნომრო პლასტიკური ბარათებით.[53] ტალონების გამოყენებით გახარჯულია 17.4 ტონა, ხოლო ბარათებით – 75.4 ტონა საწვავი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტს სათანადო კონტროლი არ აქვს დაწესებული საწვავის მიზნობრივ გამოყენებასა და რაციონალურ ხარჯვაზე, კერძოდ:

- 2021 წელს დაწესებული ლიმიტის ზემოთ გახარჯულია 1.5 ტონა საწვავი;
- ავტომანქანებში, 177 შემთხვევაში, 4.4 ტონა საწვავი ჩასხმულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარეთ მდებარე ავტოგასამართ სადგურებში, რაც არ უკავშირდება მოხელეების სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას (იხ. დანართი №2);

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიდგომა სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ არარაციონალურია; მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნორმატიული აქტი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე; საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს. შედეგად, საწვავი გამოყენებულია დაწესებული ლიმიტის დარღვევით. ასევე კონკრეტული მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ, რაც წარმოშობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს.

რეკომენდაცია №6

მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით განსაზღვროს კონტროლის მექანიზმები და შეიმუშაოს წესი, რითაც დარეგულირდება სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობა. საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია მერიამ დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმ(ებ)ი და შეიმუშაოს სათანადო პროცედურები. სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე შესაძლოა განხილულ იქნეს სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა.

[53] 2021 წელს გამოყენებულია ტალონები და ნომრიანი/უნომრო ბარათები; 2022 წელს - ნომრიანი/უნომრო ბარათები.

2.5.2 შრომითი ხელშეკრულებებით დაქირავებული პირები

კრიტერიუმი: საჯარო სამსახურის უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ შრომითი ხელშეკრულებით დაასაქმონ პირები[54] დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად. მუნიციპალიტეტსა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს შორის ურთიერთობები და უფლება-მოვალეობები რეგულირდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

ფაქტობრივი გარემოება: 2021-2022 წლებში თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში იყენებდა დაქირავებულ შრომას. კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული იყო 13-17 პირი და მათზე გასამრჯელოს სახით გაცემულია 358.3 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ მოქალაქეთა დაქირავების პროცესი მოიცავს ხარვეზებს დაქირავებულთა მოვალეობების საჯარო მოხელეების ფუნქციებთან თანხვედრისა და დაქირავებული შრომის დასაბუთების მხრივ. წარმოდგენილი მონაცემების შესწავლით გამოვლინდა, რომ:

- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების დანიშვნასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებები და/ან შრომითი ხელშეკრულებები 8 პირის შემთხვევაში არ მოიცავს დანიშნული პირების მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობებს ან/და დავალებებს. შესაბამისად, დაქირავებულთა საქმიანობის საჭიროება არ არის სათანადოდ დასაბუთებული;
- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული 10 პირი[55] ასრულებდა არა დამხმარე ან არამუდმივ, არამედ საჯარო მოხელეების ფუნქცია-მოვალეობებს,[56] მათ შორის, 4 შემთხვევაში ნაწილობრივ ან ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, დასაქმებულები ასრულებდნენ არა ხელშეკრულებით განსაზღვრულ, არამედ მერის ბრძანებით დაკისრებულ სხვა ფუნქცია-მოვალეობებს.[57]

დასკვნა

მუნიციპალიტეტების მიერ დაქირავებული შრომის გამოყენების პრინციპი არ შეესაბამება საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებას.

2.5.3 მივლინების ხარჯების შეუსაბამობა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტმა საკუთარი ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, მოხელე შესაძლებელია გაგზავნოს მივლინებით ქვეყნის ფარგლებს გარეთ.[58] ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებისათვის, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად თითოეული დაწესებულება შეიმუშავებს ფინანსური მართვისა და კონტროლის საკუთარ სისტემას. ფინანსური მართვა და კონტროლი მოიცავს დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებულ

[54] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ", მუხლი 3, „ვ" ქვეპუნქტი.

[55] მათ შორის არის 7 პირი, რომელთა შრომითი ხელშეკრულებები არ მოიცავს დანიშნული პირების მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობებს ან/და დავალებებს.

[56] სპეციალისტის ფუნქციები ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში - ერთი პირი; სპეციალისტის ფუნქციები სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურში - 5 პირი; სპეციალისტის ფუნქციები შესყიდვების საკითხებში - ერთი პირი; სპეციალისტის ფუნქციები შიდა აუდიტის საკითხებში - 3 პირი.

[57] შიდა აუდიტის სამსახურის ერთი სპეციალისტი ასრულებდა მთავარი არქიტექტორის ფუნქციებს; შიდა აუდიტის სამსახურის ერთი სპეციალისტი ასრულებდა შესყიდვების განყოფილების სპეციალისტის ფუნქციებს; ინფრასტრუქტურის სამსახურის 2 სპეციალისტი ასრულებდა სოციალური სამსახური სპეციალისტის ფუნქციებს;

[58] საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ", მუხლი 2, პუნქტი 1.

როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ პროცესებს, ოპერაციებსა და ქმედებებს, რომლებიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.[59]

ფაქტობრივი გარემოება: 2022 წელს მუნიციპალიტეტმა ქვეყნის გარეთ მივლინებებში დახარჯა 8.0 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა დოკუმენტური მტკიცებულებები სამივლინებო თანხების ეფექტიანად გამოყენების შესახებ ვერ წარმოადგინა. კერძოდ, არ მომზადებულა რაიმე სახის ინფორმაცია, რაც დაადასტურებდა მივლინებებით დასახული მიზნებისა და მიღწეული კონკრეტული შედეგების შეფასებას.

გარდა ამისა, 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტის 26 მოხელე მივლინებით იმყოფებოდა ქალაქ ბათუმში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ა(ა)იპ – საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სწავლება-ტრენინგში. მივლინებების მიზანშეწონილობის შესწავლით გაირკვა, რომ 9 პირის სამსახურებრივი პროფილი განსხვავდებოდა ჩატარებული სწავლების თემისგან.[60] მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა აღნიშნული პირების მივლინებების მიზანშეწონილობა და დახარჯული 4.7 ათასი ლარის ეფექტიანობა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემები არ მოიცავს სამივლინებო ხარჯების ეფექტიანობის შეფასებას. 2021-2022 წლებში საჯარო მოხელეების მივლინებისთვის 12.7 ათასი ლარი დახარჯულია ისე, რომ მუნიციპალური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით მივლინების შედეგების პრაქტიკაში გამოყენება დოკუმენტურად არ დასტურდება.

2.6 ქონების მართვა და განკარგვა

2.6.1 ქონების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ორგანოები ქონებრივი უფლებების განხორციელებისას ვალდებული არიან, დაიცვან მუნიციპალიტეტის, როგორც მესაკუთრის, კანონიერი ინტერესები.[61] ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, თვითმმართველი ერთეული ვალდებულია უზრუნველყოს უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი საფასურის ჩარიცხვა ადგილობრივ ბიუჯეტში, რაც მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების ერთ-ერთი წყაროა.[62]

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, გაფორმებული ხელშეკრულება მიუსადაგოს შეცვლილ გარემოებებს,[63] თუ ის აშკარად შეიცვალა ხელშეკრულების დადების შემდეგ.

ფაქტობრივი გარემოება: 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტი ფლობდა 680-მდე სხვადასხვა დასახელების უძრავ ქონებას.[64] ქონების ნაწილი მუნიციპალიტეტმა განკარგა იჯარისა და აღნაგობის ფორმით. 2021-2022 წლებში მოქმედებდა ქონებით სარგებლობის 113 ხელშეკრულება. მერიამ ვერ უზრუნველყო საკუთრებაში არსებული აქტივების სათანადო განკარგვა, კერძოდ:

[59] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6.
[60] სპეციალისტმა, საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, ტრენინგი გაიარა თემაზე: „ქონების მართვა“; სპეციალისტმა, სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში, ტრენინგი თემაზე: „კულტურა“; „პროგრამული ბიუჯეტი“ და „შიდა აუდიტი“; სპეციალისტმა, ბავშვთა დაცვის ინსპექტირების საკითხში, ტრენინგი თემაზე: „პროგრამული ბიუჯეტი“ და სხვ.
[61] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 109.
[62] საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, 81-ე და 83-ე მუხლები.
[63] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 398, პუნქტი 1.
[64] საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაცია.

- 113 ხელშეკრულებიდან 27 შემთხვევაში[65] ქონება გაცემულია პირდაპირი განკარგვის წესით[66] და არ არის გამოყენებული ელექტრონული აუქციონის ფორმა. აუქციონი ზრდის ინფორმირებულ პირთა წრეს და ვაჭრობის კონკურენტულ/გამჭვირვალე გარემოში წარმართვის შესაძლებლობას, რაც ხელს უწყობს ქონებიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებას;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ მერია სრულად ვერ იღებდა ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შემოსავლებს. კერძოდ, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 65 ხელშეკრულების შემთხვევაში მუნიციპალიტეტს არ მიუღია სულ 207.4 ათასი ლარი (გადაუხდელი ქირა – 131.5 ათასი ლარი, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საურავი - 75.9 ათასი ლარი). მათ შორის კუთვნილი 54,3 ათასი ლარის ამოსაღებად (გადაუხდელი ქირა - 44.8 ათასი ლარი, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საურავი - 9.8 ათასი ლარი) მუნიციპალიტეტს სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია;
- მუნიციპალიტეტმა 2011-2019 წლებში გააფორმა 16 გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულება (იხ. დანართი №3). აქედან, 15 ხელშეკრულება დადებულია ქონების პირდაპირი განკარგვის საფუძველზე. ხელშეკრულებების უმეტესობა ითვალისწინებდა ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, საიჯარო ფასის პერიოდულ გადასინჯვას. მუნიციპალიტეტს არ უმსჯელია იჯარით გაცემული ქონების საიჯარო ღირებულების გადახედვისა და საბაზრო ფასებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ, მაგალითად:
    - 2017 წელს მუნიციპალიტეტმა 79318 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით, 20 წლის ვადით, იჯარით გადასცა შპს RMG GOLD-ს. ხელშეკრულების შესაბამისად, იჯარის ქირა განისაზღვრა წელიწადში 9.9 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტს ხელშეკრულების პირობები ან/და ქონების წლიური საიჯარო ქირა არ შეუცვლია. აღსანიშნავია, რომ 2017 წელთან შედარებით 2023 წელს თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი გაიზარდა 50%-ით.[67] აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდეგ, 2023 წლის ივნისში, მუნიციპალიტეტის მოთხოვნის საფუძველზე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ განსაზღვრა აღნიშნულ ქონებაზე ყოველწლიური საბაზრო საიჯარო ქირის ღირებულება. დასკვნის მიხედვით, საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება შეადგენს 15.9 ათას ლარს, რაც მოქმედ ფასს 1.6-ჯერ აღემატება. სამხარაულის დასკვნის საფუძველზე მუნიციპალიტეტმა მიმართა შპს RMG GOLD-ს საიჯარო ქირის ცვლილებასთან დაკავშირებით.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა სათანადოდ ვერ უზრუნველყო იჯარიდან მისაღები შემოსავლის სრულად და დროულად მობილიზება ადგილობრივ ბიუჯეტში. ამასთანავე, ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის პროცესში არ არის გამოყენებული ელექტრონული აუქციონისა და გაფორმებულ ხელშეკრულებებში საიჯარო ფასის გადახედვის შესაძლებლობა. შედეგად,

[65] იჯარა, აღნაგობა.
[66] 2021-2022 წლებში პირდაპირი განკარგვით გაცემულია 7 უძრავი ქონება.
[67] 2017 წელს 1 კვ.მ-ის ფასი შეადგენდა 0.828 ლარს, 2023 წელს - 1.242 ლარს.

ადგილობრივი ბიუჯეტი კარგავს დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია №7

მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს ქონების მართვის სტრატეგია და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქონების განკარგვისა და ხელშეკრულებების ადმინისტრირების გაუმჯობესებას. ამასთანავე, მერიამ იმსჯელოს ქონების განაკარგვის პროცესში აუქციონის ფორმის გამოყენებისა და გაფორმებულ ხელშეკრულებებში სარგებლობის საფასურის საბაზრო ფასებთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური ქონების მართვის პროცესის გაუმჯობესებასა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას.

2.7 ორგანიზაციული და პერსონალის მართვა

2.7.1 დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ხარვეზები

კრიტერიუმი: ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები.[68] საკრებულოს დადგენილებებით,[69] დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის, ორგანიზაციებისათვის, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირებისათვის განსაზღვრულია მოსაკრებლის გადახდა. დადგენილი მოსაკრებლის გადაუხდელობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია დავალიანების მქონე პირების მიმართ გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას ახორციელებს ა(ა)იპ – დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, 2022 წლის ბოლოს გადაუხდელი დასუფთავების მოსაკრებელი 15.6 ათას ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2021-2022 წლებში ფიზიკური პირებიდან დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება არ ხორციელდებოდა. რაც შეეხება იურიდიულ პირებს, პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტი არ ფლობს გადასახადის გადამხდელთა სრულ ბაზას.

დასკვნა

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა სრულყოფილი ბაზა და ამასთანავე, ვერ უზრუნველყოფს მოსაკრებლის სათანადო ადმინისტრირებას. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ მიიღო დასუფთავების მოსაკრებელი, რაც უარყოფითად აისახა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

რეკომენდაცია №8

მერიამ საკრებულოსთან ერთად იმსჯელოს გადამხდელთა ბაზის ფორმირებისა და დასუფთავების მოსაკრებლის დაგეგმილი მაჩვენებლის მობილიზების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე, მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით, მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების გაუმჯობესებას.

2.7.2 საბიუჯეტო პროცესის ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, საფინანსო ორგანო საბიუჯეტო ორგანიზაციებს უგზავნის საბიუჯეტო

[68] საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, მუხლი 1.

[69] დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 29 იანვრის №54 დადგენილება „დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და იურიდიული პირებისათვის დასახლებული ტერიტორიების დასუფთავებისთვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“.

განაცხადის ფორმებს ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით.[70]

საბიუჯეტო კოდექსი განსაზღვრავს ინფორმაციის ნუსხას, რომელსაც უნდა მოიცავდეს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ შევსებული საბიუჯეტო განაცხადი[71] და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.[72]

მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტში გათვალისწინებული საკუთარი შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლების (მოცულობის) ყოველწლიური ზრდის (დასაგეგმი საბიუჯეტო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულ საკუთარ შემოსულობებსა და წინა წლის დამტკიცებულ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულ საკუთარ შემოსულობებს შორის დადებითი სხვაობის) საფუძველზე მიღებული გაზრდილი ფინანსური რესურსები, შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ არაფინანსური აქტივების ზრდასთან დაკავშირებული გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების (გზები, სპორტული და საალმზრდელო დაწესებულებები, სხვა ობიექტები) მოვლა-შენახვისა და ფუნქციონირებისთვის საჭირო სახსრებისა.[73]

ფაქტობრივი გარემოება: 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საბიუჯეტო პროცესი გამოირჩევა შემდეგი ნაკლოვანებებით:

- 2021 წელს ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადები ზოგიერთ შემთხვევაში არ მოიცავს კოდექსით დადგენილ სრულ ინფორმაციას;[74]
- 2022 წელს ბიუჯეტების პროექტის მომზადების მიზნით, მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანოს არ გაუგზავნია და საბიუჯეტო ორგანიზაციებს არ წარმოუდგენიათ საბიუჯეტო განაცხადის ფორმები ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით;
- 2021 წელს საკუთარი შემოსულობები მუნიციპალიტეტში 2020 წელთან შედარებით 524.1 ათასი ლარით გაიზარდა. ამდენად, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი ექვემდებარებოდა შესაბამისი თანხით გაზრდას. მუნიციპალიტეტმა აღნიშნული გარემოება არ გაითვალისწინა;
- 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში შედგენილია ხარვეზებით და მასში სრულყოფილად ასახული არ არის კანონმდებლობით მოთხოვნილი ინფორმაცია.[75]

---

[70] საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 77.
[71] საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 77, პუნქტი 4.
[72] საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 87.
[73] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 155, პუნქტი 3.
[74] დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის და დასაგეგმის შემდგომი 3 საბიუჯეტო წლისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან განსახორციელებელ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ დაფინანსებას, აღწერას, მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებს და მათი შესრულების შეფასების ინდიკატორებს.
[75] წლიური ანგარიშები არ მოიცავს: გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან; ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისთვის; პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, როდესაც ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს; ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან სახსრების გამოყოფის მდგომარეობის შესახებ; წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს.

დასკვნა	2021-2022 წლების საბიუჯეტო პროცესი მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა ხარვეზებით და არ შეესაბამებოდა საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
2.7.3 დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსება საკუთარი შემოსავლებიდან	**კრიტერიუმი:** მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების დელეგირება შეიძლება სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით.[76] ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა უნდა მოითხოვოს შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსი.[77] **ფაქტობრივი გარემოება:** 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, მიზნობრივი ტრანსფერის სახით სულ გამოეყო 275.0 ათასი ლარი.[78] გარდა მიზნობრივი ტრანსფერისა, 2022 წელს მუნიციპალიტეტმა გამოიყენა საკუთარი ფინანსური რესურსი დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსების მიზნით. კერძოდ, ადგილობრივი ბიუჯეტიდან სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური დაფინანსებულია 32.2 ათასი ლარით და ა(ა)იპ – დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი – 12.0 ათასი ლარით. აღნიშნული თანხები ძირითადად გამოყენებულია შრომის ანაზღაურების, კომუნალური, ტრანსპორტისა და სხვა ხარჯების დაფინანსების მიზნით, რისი დაგეგმვა და გაანგარიშებაც მუნიციპალიტეტს შეეძლო წინასწარ. მუნიციპალიტეტმა 2021 წლის აპრილში ფინანსთა სამინისტროს მიმართა და მოითხოვა დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის ტრანსფერის მოცულობის გაზრდა 75.8 ათასი ლარის ოდენობით.[79] სამინისტრომ ტრანსფერის მოცულობა 2022 წელს წინა წელთან შედარებით გაზარდა 15.0 ათასი ლარით. ტრანსფერის მოცულობის ზრდის მიუხედავად, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს არ უმსჯელიათ საქმიანობა განეხორციელებინათ დელეგირებული უფლებამოსილებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის ფარგლებში.
დასკვნა	მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელი სამსახურების საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა მისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების შესაბამისად, რამაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებით 44.2 ათასი ლარის ხარჯი გამოიწვია.
2.7.4 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისთვის დაკისრებული ჯარიმები	**ფაქტობრივი გარემოება:** 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტმა 1.3 ათასი ლარი დახარჯა მუნიციპალიტეტში დასაქმებული პირების მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დარიცხული ჯარიმების ასანაზღაურებლად. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებში დამრღვევებად მითითებულია კონკრეტული ფიზიკური პირები და არა სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე. ამდენად, ჯარიმის გადახდის ვალდებულება ეკისრება შესაბამის პირს.
დასკვნა	მუნიციპალიტეტმა გასწია 1.3 ათასი ლარის არამიზნობრივი ხარჯი.

[76] „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 17, პუნქტი 2.
[77] „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, მუხლი 79, პუნქტი 2.
[78] 2021 წელს -130.0 ათასი ლარი, 2022 წელს - 145.0 ათასი ლარი. ტრანსფერიდან დაფინანსებულია სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური, ომის ვეტერანების სარიტუალო მომსახურება და ა(ა)იპ - „დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“.
[79] დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 11 ნოემბრის №07/5758 წერილი.

2.7.5 ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,[80] საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომლის ინვენტარიზაცია ხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ მაინც. ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე, იქმნება საინვენტარიზაციო კომისია.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტს 2021-2022 წლებში არ ჩაუტარებია აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შესაბამისად, არ განხორციელებულა აქტივების, ვალდებულებებისა და ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და ორგანიზაციის საღრიცხვო მონაცემებთან შედარება; ასევე არ ჩატარებულა შემოწმება, ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის/დაცვის წესებისა და პირობების და არაფინანსური აქტივების ექსპლოატაციის წესების დაცვის კანონთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ყველა აქტივი არ არის ჩაბარებული მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლი საკუთრებაში არსებული აქტივების მოძრაობაზე. შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი, მისი კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. შედეგად, არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

რეკომენდაცია №9

მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას, მათ შედარებას ორგანიზაციის საღრიცხვო მონაცემებთან, ინვენტარიზაციის შედეგების დადგენას და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენას. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

2.7.6 წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2020 წელს ჩაატარა დმანისის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის ობიექტმა გაატარა გარკვეული ღონისძიებები და წარმოადგინა ინფორმაცია წინა აუდიტის ანგარიშში ასახული ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორების შესახებ. ამავე დროს, მუნიციპალიტეტმა არ განახორციელა სათანადო რეაგირება და განმეორებით დაუშვა ზოგიერთი დარღვევა, რომელიც აღწერილია წინა პერიოდის აუდიტის ანგარიშში, კერძოდ:

[80] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“ - მე-2 და მე-3 მუხლები; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №364 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“, მე-2 და მე-3 მუხლები.

- მუნიციპალიტეტს წლის ბოლოს რჩება არსებითი მოცულობის ნაშთი, მათ შორის, თავისუფალი ნაშთი;
- ინფრასტრუქტურული პროექტები დაუსრულებელია;
- მუნიციპალიტეტის მიდგომა სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ არარაციონალურია;
- ხარვეზებია დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით;
- მოსახლეობის წყალმომარაგება სათანადოდ არ ხორციელდება;
- მუნიციპალიტეტს აქვს მიუღებელი საიჯარო თანხები;
- მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა;
- მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები აანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ და სხვ.

მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ობიექტმა დაგეგმოს და განახორციელოს საჭირო ქმედებები წინა პერიოდის აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის და მომავალში არ დაუშვას მათი განმეორება. აღნიშნული აუცილებელია საჯარო დაწესებულების ინტერესების დაცულობისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისათვის.

აუდიტორები	ხელმოწერა
ლალი ამბროლაძე წამყვანი აუდიტორი	
ქრისტინე ეკალაძე უფროსი აუდიტორი	
ბაკურ კვეტენაძე უფროსი აუდიტორი	
ანი ყიფიანი აუდიტორი	
ირაკლი ნინაშვილი აუდიტორ-ასისტენტი	

დანართები

დანართი №1.

2021-2022 წლებში შეწყვეტილი 7 ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც შეუსრულებელ სამუშაოებზე მუნიციპალიტეტს შესყიდვა არ გამოუცხადებია (ათასი ლარი)

NAT/CMR	შესყიდული სამუშაოს დასახელება	მიმწოდებელი	სახელშეკრულებო ღირებულება ობიექტების მიხედვით	ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღი	შეწყვეტილი ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ღირებულება	შეწყვეტილი ხელშეკრულების ფარგლებში შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულება	შესყიდული სამუშაოს მდგომარეობა ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის
NAT200011351	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერის წყალმომარაგებისათვის ჭაბურღილის მშენებლობა	შპს „კაპიტელი“	413,0	29.11.2021	43,3	369,7	ნაწილ. შესრულებული[81]
NAT200009588	სოფელ ბოსლებში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	შპს „გია კონსტრაქშენ“	77,2	02.11.2021	12,8	64,4	ნაწილ. შესრულებული[82]
	სოფელ გომარეთის შიდა გზის რეაბილიტაცია		251,7		79,6	172,1	ნაწილ. შესრულებული[83]
	სოფელ ჯავახში სანიაღვრე არხის მოწყობა		116,1		42,4	73,7	ნაწილ. შესრულებული[84]
	სულ		**445,0**		**134,8**	**310,2**	
NAT200006552	ქ. დმანისის N2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	შპს „გია კონსტრაქშენ“	824,9	30.06.2022	653,5	171,4	ნაწილ. შესრულებული
NAT200002800	სოფელ მთისძირში წყლის სათავე ნაგებობის, შემკრების/რეზერვუარისა და მაგისტრალური ხაზის მოწყობა	ამხანაგობა „კაპიტელი+“	1070,5	31.01.2022	960,3	110,2	ნაწილ. შესრულებული
NAT200005547	სოფელ გოდაგდაგში რიტუალების სახლის მშენებლობა	შპს „პალი ჯორჯია“	297,8	30.07.2022	261,3	36,5	ნაწილ. შესრულებული
NAT200005550	სოფელ მამულოში, სარიტუალო დარბაზის ეზოში დამხმარე ნაგებობებისა და	ი/მ ლერი პაპიაშვილი	42,0	15.09.2021	7,2	34,8	ნაწილ. შესრულებული[85]

[81] მუნიციპალიტეტმა აღარ გააგრძელა სამუშაოები, ვინაიდან მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ხორციელდება მაგისტრალური ხაზის და სოფლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია DEP200000096 შესყიდვის ფარგლებში.

[82] მგფ-ის მიერ DEP200000096 შესყიდვის ფარგლებში ხორციელდება მაგისტრალური ხაზის და სოფლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია, შედეგად აღნიშნული გზები დაზიანებულია. სამუშაოებზე შესყიდვა იგეგმება მგფ-ის პროექტის დასრულების შემდეგ.

[83] შპს "გია კონსტრაქშენთან" გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული გზის მოასფალტება შეიცვალა და მუნიციპალიტეტის მიერ NAT220012196 შესყიდვის ფარგლებში განხორციელდა გზის მოხრეშვა.

[84] მგფ-ის მიერ DEP200000096 შესყიდვის ფარგლებში ხორციელდება მაგისტრალური ხაზის და სოფლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია, შედეგად აღნიშნული გზები დაზიანებულია. სამუშაოებზე შესყიდვა იგეგმება მგფ-ის პროექტის დასრულების შემდეგ.

[85] სამუშაოები დაასრულა მუნიციპალიტეტმა 2023 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით CMR230097653 შესყიდვის ფარგლებში.

	საპირფარეშოს მშენებლობა						
	სოფელ გომარეთის ადმინისტრაციული შენობის არსებული ქვის ღობის აღდგენა		11,9		5,3	6,6	ნაწილ. შესრულებული
	სოფელ იფნარში ადმინისტრაციული შენობის ეზოს შემოღობვა		6,2		5,6	0,6	დასრულებული
	შიდა სახელმწიფო გზასთან უსახური შენობების რეაბილიტაცია		26,1		14,4	11,7	ნაწილ. შესრულებული
	სოფელ კაკლიანში (აზერბაიჯანული) სარიტუალო დარბაზთან საპირფარეშოს მოწყობა		17,8		12,1	5,7	ნაწილ. შესრულებული
	ქ. დმანისში, 9 აპრილის ჩიხი №4-ში მდებარე ა(ა)იპ - დმანისის კომუნალური სამსახურის სპეცმანქანებისათვის ე.წ. ფარდულის მოწყობა		44,3		32,7	11,6	ნაწილ. შესრულებული
	სულ		**148,2**		**77,3**	**70,9**	
NAT210004527	სოფელ მთისძირში, საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოს რეაბილიტაცია	შპს „ამირანი“	16,3	15.01.2022	9,8	6,5	ნაწილ. შესრულებული
	სოფელ დაგარახლოში, ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის მოწყობა		8,5		2,1	6,4	ნაწილ. შესრულებული[86]
	სოფელ განახლებაში, ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის მოწყობა		8,5		2,1	6,4	ნაწილ. შესრულებული[87]
	სოფელ განთიადში, სოფელ ჯავახის ჩასახვევში, ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის მოწყობა		8,5		2,1	6,4	ნაწილ. შესრულებული[88]
	სოფელ განთიადში, საბავშვო ბაღთან, ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის მოწყობა		8,5		2,1	6,4	ნაწილ. შესრულებული[89]

[86] სამუშაოებს დაასრულებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი NAT220024810 შესყიდვის ფარგლებში.
[87] სამუშაოებს დაასრულებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი NAT220024810 შესყიდვის ფარგლებში.
[88] სამუშაოებს დაასრულებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი NAT220024810 შესყიდვის ფარგლებში.
[89] სამუშაოებს დაასრულებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი NAT220024810 შესყიდვის ფარგლებში.

	სოფელ ველისპირში, ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა	8,5	2,1	6,4	ნაწილ. შესრულებული[90]
	სოფელ ვარდისუბანში, ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა	8,5	2,1	6,4	ნაწილ. შესრულებული[91]
	სოფელ მამულოში ცენტრალურ გზაზე მოსცდელის მოწყობა	8,5	4,6	3,9	ნაწილ. შესრულებული[92]
	სოფელ სარკინეთში, ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა	8,5	2,1	6,4	ნაწილ. შესრულებული[93]
	ქ. დმანისში, ბატონიშვილის და აღმაშენებლის კვეთაზე, ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის მოწყობა	8,5	3,0	5,5	ნაწილ. შესრულებული[94]
	სოფელ ქციის ცენტრში სკვერის მოწყობა	26,0	24,0	2,0	დასრულებული
	სულ	**118,4**	**55,7**	**62,7**	
სულ		**3317,8**	**1948,2**	**793,4**	

დანართი №2.

2021-2022 წლებში ავტომანქანებში დმანისის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ შესაბამისი დასაბუთების გარეშე საწვავის ჩასხმის შემთხვევები

№	ჩასხმის თარიღი	ჩასხმის დრო	ავტომანქანის ბარათის ნომერი	ჩასხმული საწვავი (ლიტრი)	სადგურის დასახელება
1	07.01.2021	11:57:26	BB629BC	45	Bolnisi
2	22.01.2021	15:29:54	BB629BC	47	Teleti
3	05.02.2021	15:52:35	BB628BC	10	Teleti
4	17.03.2021	18:59:13	BB629BC	39	Bolnisi
5	07.04.2021	15:15:23	BB628BC	30	Bolnisi
6	25.04.2021	17:01:41	BB629BC	16	Bolnisi
7	13.06.2021	04:52:07	BB629BC	46	Batumi Barchkhana
8	13.06.2021	15:01:22	BB628BC	43	Batumi Barchkhana
9	15.06.2021	10:28:50	BB629BC	41	Bolnisi
10	09.07.2021	08:37:41	BB629BC	41	Bolnisi
11	11.07.2021	11:12:04	BB629BC	39	Poti-2
12	09.08.2021	15:40:46	BB629BC	20	Bolnisi
13	12.08.2021	18:25:01	BB629BC	27	Teleti
14	08.09.2021	10:53:44	BB629BC	44	Bolnisi
15	29.09.2021	21:36:48	DD504VD	30	Bolnisi
16	11.10.2021	08:28:14	DD504VD	54	Isani
17	16.11.2021	19:22:20	BB629BC	20	Bolnisi

[90] სამუშაოები დაასრულა მუნიციპალიტეტმა 2023 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით CMR230095398 შესყიდვის ფარგლებში.
[91] სამუშაოებს დაასრულებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი NAT220024810 შესყიდვის ფარგლებში.
[92] სამუშაოები დაასრულა მუნიციპალიტეტმა 2023 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით CMR230097653 შესყიდვის ფარგლებში.
[93] სამუშაოებს დაასრულებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი NAT220024810 შესყიდვის ფარგლებში.
[94] სამუშაოებს დაასრულებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი NAT220024810 შესყიდვის ფარგლებში.

18	18.11.2021	18:05:52	DD502VD	20	Bolnisi
19	18.01.2022	14:21:43	2032542	33	Marneuli
20	19.01.2022	13:50:22	2032546	10	Marneuli
21	20.01.2022	11:42:42	2032534	20	Bolnisi
22	25.01.2022	15:49:25	2030288	50	Teleti
23	26.01.2022	09:00:59	2030286	30	Bolnisi
24	28.01.2022	13:01:38	2030285	20	Bolnisi
25	29.01.2022	22:10:35	2030285	20	Bolnisi
26	04.02.2022	08:59:13	2030287	30	Teleti
27	09.02.2022	12:17:03	2030288	50	Lilo
28	12.02.2022	16:17:58	2032532	20	Bolnisi
29	15.02.2022	17:35:34	2032546	20	Marneuli
30	15.02.2022	20:29:56	2030285	20	Marneuli
31	18.02.2022	11:41:35	2030287	20	Bolnisi
32	21.02.2022	22:33:02	2030285	10	Marneuli
33	25.02.2022	10:31:27	2032534	20	Bolnisi
34	01.03.2022	20:20:00	2030285	20	Bolnisi
35	02.03.2022	19:47:33	2030290	10	Bolnisi
36	04.03.2022	12:39:26	2030288	50	Aeroport-1
37	04.03.2022	15:38:58	2030285	20	Teleti
38	07.03.2022	21:17:34	2032532	10	Bolnisi
39	08.03.2022	21:25:24	2030290	20	Bolnisi
40	09.03.2022	15:30:56	2032534	20	Bolnisi
41	09.03.2022	16:56:24	2037438	20	Bolnisi
42	10.03.2022	12:57:22	2030285	20	Teleti
43	12.03.2022	17:56:20	2030282	20	Bolnisi
44	17.03.2022	14:46:04	2030286	50	Teleti
45	01.04.2022	21:07:21	2030285	20	Marneuli
46	03.04.2022	22:30:06	2030288	50	Aligator
47	04.04.2022	15:39:11	2032547	15	Gulia
48	04.04.2022	16:28:22	2037435	20	Bolnisi
49	04.04.2022	20:37:16	2030285	10	Bolnisi
50	05.04.2022	08:01:37	2030286	30	Bolnisi
51	09.04.2022	00:24:45	2030285	10	Bolnisi
52	09.04.2022	12:08:29	2030290	20	Gulia
53	09.04.2022	20:27:57	2032531	33	Bolnisi
54	11.04.2022	01:12:06	2030285	10	Bolnisi
55	19.04.2022	18:15:14	2030285	5	Bolnisi
56	21.04.2022	08:24:41	2032533	25	Teleti
57	21.04.2022	13:33:13	2030283	10	Bolnisi
58	23.04.2022	12:54:27	2030285	15	Bolnisi
59	03.05.2022	18:39:30	2030292	20	Teleti
60	04.05.2022	10:52:28	2030288	50	Teleti
61	04.05.2022	21:40:00	2030290	10	Teleti
62	04.05.2022	21:41:00	2030290	10	Teleti
63	05.05.2022	13:42:57	2037435	20	Teklati
64	05.05.2022	18:30:51	2037435	30	Teleti
65	06.05.2022	15:23:48	2030287	30	Bolnisi
66	07.05.2022	00:49:06	2037434	31	Bolnisi
67	07.05.2022	17:39:10	2030285	70	Marneuli
68	08.05.2022	20:59:39	2030290	10	Marneuli
69	10.05.2022	09:56:20	2030292	10	Teleti
70	12.05.2022	11:29:40	2030285	30	Marneuli
71	23.05.2022	12:48:08	2030283	10	Bolnisi
72	01.06.2022	23:55:35	2037434	48	Bolnisi
73	02.06.2022	13:00:44	2030287	30	Bolnisi
74	03.06.2022	19:48:36	2037438	10	Bolnisi
75	04.06.2022	09:47:59	2030288	50	Aligator
76	07.06.2022	20:58:59	2030285	20	Bolnisi

77	08.06.2022	16:40:48	2030285	20	Gardabani
78	09.06.2022	18:37:09	2030290	10	Teleti
79	10.06.2022	18:51:04	2032533	40	Marneuli
80	16.06.2022	22:28:32	2030291	15	Teleti
81	17.06.2022	16:02:07	2037437	18	Bolnisi
82	24.06.2022	11:14:45	2030283	10	Bolnisi
83	30.06.2022	16:09:07	BB628BC	30	Bolnisi
84	30.06.2022	16:23:27	2032537	50	Marneuli
85	01.07.2022	15:37:21	2030290	20	Rusavi-Komplex
86	01.07.2022	19:20:45	2030290	15	Marneuli
87	02.07.2022	20:23:42	2030285	20	Bolnisi
88	03.07.2022	14:37:36	2030288	50	Aeroport-1
89	03.07.2022	18:42:19	2037435	20	Bolnisi
90	04.07.2022	15:51:31	2030285	20	Teleti
91	07.07.2022	19:09:37	2030285	10	Rusavi-Komplex
92	08.07.2022	17:43:54	2032547	10	Bolnisi
93	12.07.2022	13:16:17	BB629BC	30	Beliashvili
94	19.07.2022	21:23:13	2032544	30	Bolnisi
95	22.07.2022	16:59:31	BB628BC	35	Bolnisi
96	01.08.2022	16:59:19	2032547	15	Aligator
97	02.08.2022	10:21:05	2032534	30	Bolnisi
98	03.08.2022	10:01:33	BB628BC	40	Bolnisi
99	03.08.2022	10:48:10	2037435	50	Bolnisi
100	03.08.2022	15:18:26	2030288	50	Chalovbani
101	05.08.2022	14:22:00	2030284	20	Marneuli
102	08.08.2022	11:16:12	2030285	18	Teleti
103	09.08.2022	13:08:02	2032540	20	Bolnisi
104	13.08.2022	13:14:51	2030286	10	Bolnisi
105	15.08.2022	14:00:53	2032531	14	Bolnisi
106	21.08.2022	18:36:06	2032534	10	Bolnisi
107	22.08.2022	15:25:30	2032532	10	Marneuli
108	23.08.2022	14:27:28	2032531	15	Jvari
109	24.08.2022	12:58:22	DD504VD	30	Bolnisi
110	28.08.2022	16:28:30	DD504VD	10	Bolnisi
111	01.09.2022	12:09:55	DD502VD	30	Gulia
112	01.09.2022	16:38:28	2032547	10	Bolnisi
113	01.09.2022	18:22:16	2030287	50	Bolnisi
114	02.09.2022	13:19:53	2030288	50	Chalovbani
115	03.09.2022	11:55:44	2032531	30	Zugdidi
116	03.09.2022	14:23:19	2037434	10	Lanchukhuti
117	03.09.2022	22:02:09	2037434	40	Bolnisi
118	05.09.2022	15:28:13	2030285	10	Gelovani
119	05.09.2022	22:27:07	2030285	20	Bolnisi
120	06.09.2022	19:37:27	2030285	20	Bolnisi
121	08.09.2022	02:38:00	2030287	27	Gonio
122	09.09.2022	14:58:47	BB628BC	30	Bolnisi
123	09.09.2022	23:57:58	2037435	20	Rusavi-Komplex
124	19.09.2022	17:15:33	2032540	30	Teleti
125	22.09.2022	09:29:38	2032533	50	Bolnisi
126	04.10.2022	20:57:07	2030285	30	Marneuli
127	05.10.2022	14:15:43	2030287	60	Bolnisi
128	06.10.2022	11:14:58	2032543	10	Bolnisi
129	06.10.2022	11:29:58	2030285	20	Bolnisi
130	06.10.2022	13:58:06	BB629BC	10	Rusavi-Komplex
131	06.10.2022	13:59:18	2032533	20	Bolnisi
132	06.10.2022	17:52:31	2032542	15	Bolnisi
133	06.10.2022	18:34:17	2030280	10	Bolnisi
134	07.10.2022	14:45:59	2030288	50	Bolnisi
135	07.10.2022	16:08:51	2030285	10	Marneuli

136	07.10.2022	17:49:13	2037435	10	Rusavi-Komplex
137	07.10.2022	18:19:26	2037434	50	Bolnisi
138	08.10.2022	19:33:43	2032547	10	Bolnisi
139	09.10.2022	19:54:15	2030285	10	Bolnisi
140	10.10.2022	13:22:05	2030290	20	Teleti
141	11.10.2022	13:11:11	2037438	15	Bolnisi
142	11.10.2022	13:58:48	2032533	30	Bolnisi
143	11.10.2022	17:27:57	2030285	10	Bolnisi
144	14.10.2022	15:35:13	2037435	30	Vardisubani
145	20.10.2022	08:31:32	BB629BC	40	Teleti
146	23.10.2022	11:49:55	2032531	18	Kutaisi-1
147	26.10.2022	11:58:04	DD504VD	20	Bolnisi
148	31.10.2022	10:18:46	BB629BC	40	Gulia
149	01.11.2022	12:05:08	2030285	10	Bolnisi
150	02.11.2022	10:25:56	2037435	10	Tbilisis zgva
151	02.11.2022	14:23:25	2030285	10	Marneuli
152	02.11.2022	17:32:59	2030292	50	Isani
153	02.11.2022	18:11:16	2030285	10	Bolnisi
154	03.11.2022	05:11:26	2032542	20	Marneuli
155	03.11.2022	14:09:09	2037438	30	Bolnisi
156	03.11.2022	16:59:39	2030285	10	Bolnisi
157	03.11.2022	20:28:24	2030285	20	Bolnisi
158	04.11.2022	15:46:21	2030285	30	Bolnisi
159	05.11.2022	07:32:46	2030291	8	Gelovani
160	07.11.2022	14:27:31	2030280	20	Teklati
161	08.11.2022	13:43:28	2030280	10	Urbinisi
162	08.11.2022	14:05:28	2030288	50	Chalovbani
163	15.11.2022	15:55:45	2030286	10	Bolnisi
164	15.11.2022	15:56:51	2032533	20	Bolnisi
165	30.11.2022	10:56:09	2032539	20	Rusavi-Komplex
166	03.12.2022	08:55:00	2032542	50	Marneuli
167	05.12.2022	08:46:08	2032537	50	Bolnisi
168	05.12.2022	09:59:15	2032532	10	Bolnisi
169	06.12.2022	10:54:29	2037438	30	Bolnisi
170	06.12.2022	18:39:37	2030285	20	Marneuli
171	08.12.2022	00:29:34	2032532	10	Kakhetis gzatketili
172	09.12.2022	14:06:30	2030288	50	Botanika
173	11.12.2022	10:59:14	2030290	20	Bolnisi
174	12.12.2022	23:59:43	2032532	10	Kakhetis gzatketili
175	14.12.2022	20:17:50	2032532	10	Bolnisi
176	16.12.2022	12:17:25	2030284	20	Shulaveri
177	31.12.2022	14:35:12	2032534	10	Teleti
		სულ		4395	

დანართი №3.

2011-2019 წლებში გაფორმებული გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულებები

№	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი	განკარგული ქონება ფართობი კვ.მ	საიჯარო ღირებულება (ლარი)
1	სასოფლო-სამეურნეო მიწა (საძოვარი)	82.06.42.048	19.04.2016	115748	81
2	სასოფლო-სამეურნეო მიწა (საძოვარი)	82.06.42.050	19.04.2016	73207	51
3	სასოფლო-სამეურნეო მიწა (საძოვარი)	82.06.42.049	19.04.2016	63371	44
4	სასოფლო-სამეურნეო მიწა (სათიბი)	82.18.41.419	07.07.2016	98490	99
5	სასოფლო-სამეურნეო მიწა (საძოვარი)	82.05.41.251	21.09.2016	29600	21
6	არასასოფლო-სამეურნეო მიწა	82.15.41.063	19.10.2016	240	207
7	არასასოფლო-სამეურნეო მიწა	82.12.45.003 82.12.45.004 82.12.45.005 82.12.45.006	30.01.2017	79318	9855

8	სასოფლო-სამეურნეო მიწა (სათიბი)	82.15.49.020 82.15.49.021	26.07.2017	5028	12
9	სასოფლო-სამეურნეო მიწა (სათიბი)	82.18.42.249	23.08.2017	21213	26
10	არასასოფლო-სამეურნეო მიწა	82.18.42.170 82.18.42.190 82.18.42.174 82.18.42.171 82.18.42.173 82.18.42.176	28.09.2017	40545	1
11	სასოფლო-სამეურნეო მიწა (საძოვარი)	82.05.41.249 82.05.41.250	18.04.2016	47900	129
12	სასოფლო-სამეურნეო	82.17.41.023	19.06.2017	1000000	800
13	შენობა-ნაგებობა (სახურავზე ანტენების განთავსებისთავის ხელშემწყობი პირობების შექმნა)	82.01.46.081	15.10.2018	12	8400
14	შენობა-ნაგებობა (მობილური და ინტერენეტ კავშირის გაუმჯობესების მიზნით აპარატურისა და ანტენების განთავსება)	82.01.46.081	11.09.2019	3	3600
15	შენობა-ნაგებობა (საბაზო სადგურისა და საანტენო-საფიდერო მოწყობილობების განსათავსებლად)	82.01.46.081	07.07.2011	12	600
16	გარე განათების 126 ცალი რკინისა და ბეტონის ბოძი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განსათავსებლად, მიწის ზედაპირიდან 4 მეტრ სიმაღლეზე		31.07.2018		250

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge